თელავისხევის წყალმოვარდნის რისკის ელემენტების შეფასება

გიორგი ჯავახიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობაში მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბუნების დაცვა და მეტყევეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან უგრეხელიძე – მკვლევარი

თანახელმძღვანელი: ზურაბ ჯავახიშვილი – ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

გიორგი ჯავახიშვილი

22.01.2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქალაქ თელავში, თელავისხევის ირგვლივ არსებული კერძო ბიზნეს სექტორის ინფორმირებულობის დონე, თელავისხევის შესაძლო რისკებთან (წყალმოვარდნა) დაკავშირებით, მათი მზაობა აღნიშნულ პროცესთან მიმართებაში და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობა პრევენციული ღონისძიებების ჩატარებაში. კვლევის პროცესში გავეცანი სხვადასხვა ლიტერატურას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მოვიპოვე ისტორიული ინფორმაცია წარსულში, აღნიშნული მდინარის, წყალმოვარდნის შესახებ. იმისათვის, რომ ჩემი კვლევის მიზნისთვის მიმეღწია, პირველ ეტაპზე, ჩავატარე რისკის ზონაში არსებული კერძო სექტორის გამოკითხვა შესაბამისი მეთოდის გამოყენებით, შემდგომ კი-მუნიციპალიტეტთან. მოპოვებული ინფორმაცია დამეხმარა რეალური სცენარის დანახვაში. გამოყენებული მეთოდის საშუალებით შევძელი შედეგების მიღება. კერძოდ: დავადგინე კატასტროფის ზონაში მოხვედრილი კერძო სექტორის ინფორმირებულობა, მათი ჩართულობა და მზაობა კატასტროფის რისკების თაობაზე. ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობა რისკების გაცნობის პროცესში და პრევენციული გზების ძიებაში. ასევე, გაკეთდა ტერიტორიის ექსტრაპოლაცია. შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები.

მადლობა

დიდი მადლობა მეცნიერებს, სპეციალისტებსა და ჩემს მეგობრებს გაწეული დაუღალავი სამსახურისთვის. სახელდობრ:

ქეთევან უგრეხელიძე – ნაშრომის ხელმძღვანელს, რომელიც ყოველთვის, დაუღალავად, მაძლევდა შენიშვნებს, რჩევებსა და რეკომენდაციებს.

ზურაბ ჯავახიშვილი – ნაშრომის თანახელმძღვანელს, რომელიც ყოველთვის მაწვდიდა შესაბამის ინფორმაციას და რჩევებს ჩემს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, მისი დახმარებით, შეძლებისდაგვარად, შევძელი პირველი ნაბიჯების გადადგმა GIS პროგრამაში.

ლევან მუმლაძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, რომელიც დამეხმარა აკადემიური სტილის უკეთ გაგებაში.

თამუნა ოდილავაძე, მარიამ ზურაბიშვილი, ნინა ზურაბიშვილი – მასზედ, რომ კვლევის პერიოდში მეხმარებოდნენ კითხვარების გავრცელებასა და შევსებაში.